თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1012833

ნომერი: AR1178822

თარიღი : 20.11.2013

გაცემის თარიღი : 25.11.2013

გაცნობის თარიღი : 26.11.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის ; ქალაქი თბილისი , მეველის შეს. N2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია ბაშარული პ/ნ 01003004363
- მეველეს #2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა
  რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: ვინაიდან განმარტების მიხედვით დროებითი შენობა და ნაგებობა არის – ანაკრები ელემენტებისაგან შედგენილი, ასაწყობდასაშლელი ან/და მობილური სისტემა, რომელიც მიწასთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და არ გააჩნია მიწისქვეშა სათავსოები, აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საპროექტო ობიექტი არ არის საჩრდილობელი, აღნიშნულის გათვალისწინებით თქვენს მიერ სწორად არ იქნა არჩეული ნომენკლატურა. წარმოდგენილი ობიექტის კლასი ვერ იქნება მოაზრებული I კლასის შენობა-ნაგებობად და არის ისეთი სახის მშენებლობა რაც საჭიროებს სამი სტადიის გავლას –მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემა (I სტადია), II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები და რისთვისაც პირველ რიგში საკითხი უნდა დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით, ამისათვის კი უნდა აირჩიოთ შემდეგი სახის ნომენკლატურა: "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები" - "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა" და მოცემული ველები შეავსოთ შესაბამისად, ასევე გაითვალისწინეთ რომ ვინაიდან უშუალოდ ერთ–ერთ მიწის ნაკვეთთან განთავსებულია გაზ გასამართი სადგური პროექტირების შემთხვევაში გასათვალისწინებელი გექნებათ მასთან მიმართებაში შესაბამისი ნორმები.

ყოველივე ზემოაღნიშნული უკვე გეცნობათ სამსახურის მიერ №1000009 გადაწყვეტილებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge